მცირეკონტიგენტიანი სკოლის მოსწავლეთა შორის, თანამშრომლობითი უნარის განვითარება სასწავლო პროცესში

ა ნ გ ა რ ი შ ი

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორხვის საჯარო სკოლა - ბუნების მასწავლებელი თამილა მეგრელი

2019 წ

სარჩევი

შესავალი.....4

თავი I. სიტუაციის ანალიზი და საკვლევი საკითხი..... .6

1.1 საკვლევი საკითხის განსაზღვრა და მისი აქტუალობის დასაბუთება…… .6

1.2 კვლევის სამოქმედო გეგმა.....8

1.3 მთავარი საკვლევი კითხვის, ქვეკითხვების შერჩევა და ჩამოყალიბება……11

1.4 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები..... …… 12

1.5 კვლევის მიზანი და ჰიპიტეზა.....14

თავი II. ლიტერატურისმიმოხილვა.....15

თავი III. მონაცემთა შეგროვებისხერხები.....23

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი.....23

3.2 კვლევაში გამოყენებული შერჩევის სტრატეგია.....23

3.3 კვლევის ინსტრუმენტები.....24

3.3.1. თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტები.....24

3.3.2.რაოდენობრივიკვლევის ინსტრუმენტები.....25

თავი IV კვლევის შედეგები.....26

4.1. შეგროვებული ინფორმაციის რაოდენობრივი ანალიზი.....26

4.2. შეგროვებული ინფორმაციის თვისობრივი ანალიზი.....35

4.3. კვლევის ძირითადი მიგნებები და დასკვნები.....41

თავი V. ინტერვენცია. ინტერვენციის აღწერა და მისი შედეგები.

ინტერვენციის შეფასება.....42

5.1. დაგეგმილი ინტერვენციები.....42

5.2. ინტერვენციის შეფასების ინსტრუმენტები.....46

5.3. ინტერვენციის შეფასება მასწავლებლების მიერ.....48

5.5. ინტერვენციის შეფასება მოსწავლეების მიერ:.....48

თავიVI. კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები..... 52

6.1. კვლევის მიგნებები.....52

6.2. კვლევის რეკომენდაციები.....54

თავიVII. კვლევის შედეგების გაზიარება.....55

დასკვნა.....56

ბიბლიოგრაფია.....58

დანართიN1.....60

დანართიN2.....63

დანართიN3.....65

დანართიN4.....67

შესავალი

მას შემდეგ რაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და წინსვლის სქემის ფარგლებში სავალდებულო გახდა პრაქტიკული კვლევის განხორციელება გადავწყვიტე ჩამეტარებინა კვლევა და წარმომედგინა ანგარიში . წარმოგიდგენთ კვლევის ანგარიშს რომელიც ჩავატარე მაღალმთიანი რეგიონის რაჭა- ლეჩხუმ ქვემო სვანეთის მცირეკონტიგენტიან სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორხვის საჯარო სკოლაში ამ სკოლაში ვმუშაობ მასწავლებლად 25 წელია ხოლო ბოლო 5 წელია ვარ არჩეული დირექტორი და კანონის შესაბამისად მაქვს საგაკვეთილო საათები ვასწავლი ბუნებისმეტყველებას დაწყებით საფეხურზე და ქიმიას საბაზო საფეხურზე

როგორც ავღნიშნე ჩვენი სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი საბაზო სკოლა რომელშიც დღეის მდგომარეობით სწავლობს 6 მოსწავლე 1-2-3-7-8-9 კლასებში კლასში ტიტო მოსწავლეა როცა სკოლაში მუშაობა დავიწყე სკოლაში 36 მოსწავლე სწავლობდა ყველა კლასი იყო და თითოეულ კლასში რამდენიმე ბავშვი სწავლობდა და ის პრობლემა რაზეც ეხლა კვლევას წარმოგიდგენთ ასე აშკარად არ შეინიშნებოდა მოსწავლეები ერთმანეთთან უფრო მეგობრულები იყვნენ და ურთიერთ თანამშრომლობდნენ

თანამედროვე განათლების სისტემის საფუძველს ზოგადი სასკოლო განათლება წარმოადგენს სკოლის მიზანი კი მოსწავლისათვის ცოდნის გადაცემასთან, ერთად დემოკრატიული უნარების გამომუშავება, ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციაა მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოსწავლეთა თანამშრომლობითი, ჯგუფური სწავლების საფუძველზე თანამშრომლობითი სწავლება ერთგვარი მეთოდია ამ დროს მოსწავლე აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში, მეტად ავლენს თავის შესაძლებლობებს და ვლინდება მისი სოციალური და პიროვნული თვისებები.

თანამშრომლობითი სწავლა ხელს უწყობს სოციალური და დემოკრატიული უნარების განვითარებას.

ეროვნული სასწავლო გეგმითაა განსაზღრული და რომ *„მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ განათლების მიღების პროცესში, ასევე საშუალება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც“. (ეროვნული სასწავლო გეგმა. 2018-2024. თავი III. ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები. მუხლი 15. მოსწავლეთა ჩართულობა.)*

აქედან გამომდინარე მასწავლებელი ვალდებულია ისე დაგეგმოს და წარმართოს სასწავლო პროცესი რომ ყველა მოსწავლე ჩართული იქნას სასწავლო პროცესში

სწავლების არსებული 2 სახის კონცეფციიდან როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული და დიალოგზე დაფუძნებული სწავლება მცირეკონტიგენტიან სკოლებში გამოიყენება უმეტესად დიალოგზე დაფუძნებული სწავლება

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება თანამშრომლობითი სწავლების საფუძველზე ხორციელდება. მოსწავლეები ურთიერთთანამშრომლობენ და დასახულ მიზანს ერთად აღწევენ, ხოლო პედაგოგი მათ აკვირდება, ეხმარება და მონიტორინგს აწარმოებს.

დიალოგზე დაფუძნებული სწავლება დისკუსიებისა და დებატების რეჟიმში წარიმართება, მოსწავლე-მასწავლებლის მუშაობისას პედაგოგის როლი წამყვანია, როგორც პედაგოგი გადასცემს ცოდნას მოსწავლეს, ასევე შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლისაგანაც შეიძინოს ახალი ცოდნა რაც ხდება უშუალოდ მცირეკომტიგენტიან სკოლებში მასწავლებელი და ერთი მოსწავლე სადაც გაკვეთილები ძირითადად კითხვა პასუხის დიალოგის რეჟიმით მიმდინარეობს და მოკლებულია მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობას რაც გამოიხატება შემდგომში მოსწავლეთა სოციალურ და ემოციურ ქცევაში

ეს ნაშრომი წა რმოადგენს კვლევის ,,მცირეკონტიგენტიანი სკოლის მოსწავლეთა შორის,თანამშრომლობითი უნარის განვითარებას საწავლო პროცესში''ანგარიშს რომელიც ჩატარდა სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორხვის საჯარო სკოლაში 2018 წლის მარტიდან 2019 წლის იანვრამდე კვლევაში ჩართული იყო სკოლის დღევანდელი მდგომარეობით საბაზო საფეხურის ყველა 3 მოსწავლე 7-8-9 კლასის მოსწავლეები

კვლევის პროცესში მოხდა პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა მოვიძებნე პრობლემის გადაჭრის გზები , დავგეგმე და განვახორციელე ინტერვენციები რის შედეგად ამაღლდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა ცნობიერება თვითშეფასება რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა სწავლების ხარისხისა და ურთიერთობების გაუმჯობესებას .აქვე მინდა მადლობა გადაუხადო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში და გამოხატეს თავიანთი შეხედულებები კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებზე

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

მცირე კონტიგენტიან სკოლებში მცრეა ერთი ასაკის მოსწავლეთა რაოდენობა და შესაბამისად კლასშიდაც ერთი ან ორი მოსწავლეა ჩემმა დაკვირვებამ და პედაგოგიურმა გამოცდილებამ გამოკვეთა , რომ მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში ნაკლებად აქვთ განვითარებული კომუნიკაციისა და სოციალიზაციის უნარები,რადგან უმეტესად კლასში 1 მოსწავლეა შესაბამისად იკვეთება გაკვეთილზე მხოლოდ მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა რომელიც დიალოგის კითხვა პასუხის რეჟიმში მიმდინარეობს, რადგან კლასებში თითო მოსწავლეა გაკვეთილი არის მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული და მის შესაძლებლობებზე ორიენტირებული ცოდნის გადაცემის პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს, მაგრამ მოსწავლეს არ აქვს საშუალება თანატოლთან ურთიერთობის მისი დახმარების და აქედან გამომდინარე არ ხდება თანამშრომლობითი უნარების განვითარება.

მიუხედავად იმისა რომ სკოლაში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა ყველა ერთმანეთის მეზობელი და მეგობარია როგორც კი სკოლის ეზოში თავს მოიყრიან შესვენებაზე შეიმჩნევა ერთმანეთის მიმართ, მალულად თუ აშკარად ქცევითი და ემოციური პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარებას. აშკარად შესამჩნევი და თვალსაჩინოა , რომ მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას:

1) ნაკლებად აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობის ნება,

1) საგაკვეთილო აქტივობების შესრულების დროს ერთმანეთის მიმართ უყურადღებობას ამჟღავნებენ,

2) სხვის მიერ შესრულებულ აქტივობას უარყოფითი, ხანდახან კი აგრესიული კომენტარით ეხმაურებიან.

3) მათ უჭირთ ერთმანეთთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება;

4) არ აქვთ სურვილი ერთმანეთის დახმარებისა და ერთმანეთზე ზრუნვის;

5) ნაკლებად უგებენ ერთმანეთს და ნაკლებად აქვთ ერთმანეთის აზრის პატივისცმა

აქედან გამომდინარე გადავწყვიტე პედაგოგიური კვლევის საშუალებით შემესწავლა რა იყო მიზეზი მცირეკონტიგენტიანი სკოლის მოსწავლეებში სოციალური,თანამშრომლობითი უნარების დაქვეითებისა, რა არის მიზეზი აღნიშნული პრობლემისა, გამიჩნდა მოსაზრება - ხომ არ შემეძლო მოსწავლეთა სოციალური უნარები სხვა და სხვა ასაკის მოსწავლეთა თანამშრომლობითი სწავლების საშუალებით განმევითარებინა? თუ ასე აღმოჩნდებოდა, მაშინ დამედგინა, როგორ მომეხერხებინა სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს შორის საგაკვეთილო პროცესში თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარება, ანუ მომეძებნა პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები, სწავლების რომელი მეთოდების და სტრატეგიების გამოყენება დამეხმარებოდა პრობლემის გადაჭრაში, ჩემს მიზანს წარმოადგენს თანამშრომლობითი სწავლების ისეთი მოდელის შექმნა რომელიც სასწავლო პროცესს უფრო სახალისოს გახდის, გააუმჯობესებს სწავლა-სწავლების ხარისხს და მორგებული იქნება მცირეკონტიგენტიან ჩემი სკოლის მსგავს სკოლებზე (სადაც კლასში 1ან2 მოსწავლეა და მასწავლებელი მოკლებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას) . მასწავლებლები ვეცნობით მეთოდურ ლიტერატურას თანამშრომლობით სწავლების მეთოდებზე ვესწრებით ტრენინგებს მაგრამ ვერ ვახდენთ მის გამოყენებას სასწავლო პროცესში რადგან ყველა მეთოდი გათვლილია მრავალ მოსწავლიან კლასებისათვის და არ ითვალისწინებს მოსწავლეთა მცირე კონტიგენტს.

კვლევის სამოქმედო გეგმა

დასახული მიზნის მისაღწევად რომ ამემაღლებინა ჩემი მცირეკონტიგენტიანი სკოლის მოსწავლეებში თანამშრომლობითი სწავლების უნარები გადავწყვიტე შემეცვალა სკოლაში არსებული სასწავლო პროცესი ისე ,რომ უფრო სახალისო და მეტად ყოფილიყო მოსწავლეთა საჭიროებებზე გათვლილი მათი შეძლებლობების გათვალისწინებით .ვიფიქრე შემექმნა კლასკომპლექტი საბაზო საფეხურზე სასწავლო საგნების შესაბამისად ,შემერჩია ისეთი საკითხები, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენდა საბაზო საფეხურის ყველა მოსწავლისათვის, რომლებიც შეძლებისდაგვარად ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში და ერთად მიაღწევენ დასახულ მიზანს

ჩემი ინიციატივა კვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით .გავაცანი პედაგოგებს მოსწავლეებსა და მოსწავლეთა მშობლებს რადგან მოსწავლეთა სოციალური უნარები ყალიბდება არა მარტო სკოლაში არამედ ოჯახში და საზოგადოებაში სადაც მათ უხდებათ ყოფნა

დაინტერესებულ მასწავლებლებთან ერთად ჩამოვაყალიბე საკვლევი საკითხი . მისი გამომწვევი სავარაუდო მიზეზები .კვლევის ინსტრუმენტები. ვთხოვე მათ გაეწიათ დახმარება რათა შეგვეგროვებინა მონაცემები, გაგვეკეთებინა მათი ანალიზი გამოგვეკვეთა ძირითადი მიზეზები გაგვეხორციელებინა ინტერვენციები და მოგვეხდინა შეფასება .

პედაგოგებთან შეთანხმებით შევადგინე სამოქმედო გეგმა სადაც გაწერილია კვლევის პროცესში დაგეგმილი აქტივობების განხორციელების დრო(იხ ცხრილი1)

ცხრილი N 1 კვლევის სამოქმედო გეგმა

N	აქტივობა	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერ		
1	**პრობლემის იდენტიფიცირება**	X										
2	**პროფესიული ლიტერატურის დამუშავება**	X	X									
3	**კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება**		X									
4	**ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან კითხვარის შედგენისთვის**		X									
5	**კითხვარის შედგენა, დამუშავება (იხ. დანართი N1)**		X	X								
6	**ანკეტირება მოსწავლეებთან**			X								
7	**მასწავლებლებთან ინტერვიუსათვის სადისკუსიო კითხვების შემუშავება**			X	X							
8	**ინტერვიუ მასწავლებლებთან**				X							
9	**მიღებული შედეგების ანალიზი**				X	X						
10	**სავარაუდო ინტერვენციების განხილვა**					X						
11	**ინტერვენციის განხორციელება**					X	X	X				
12	**ინტერვენციის ანალიზი**								X			
13	**ინტერვენციის შეფასება მასწავლებლების მიერ**								X			
14	**ინტერვენციის შეფასება მოსწავლეების მიერ**								X			
15	**კვლევის ანგარიშის მომზადება**								X	X		
16	**სასკოლო საზოგადოებისთვის შედეგების გაცნობა და გაზიარება**									X		

შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად დავიწყე მუშაობა გავეცანი იმ პროფესიულ ლიტერატურას სადაც საუბარია თანამშრომლობითი სწავლების მეთოდებზე და კლასკომპლექტებში მუშაობაზე აღნიშნული ლიტერატურა შევისწავლე ჩემთვის საჭირო პრიორიტეტულ საკითხთან მიმართებაში,,ორხვის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეთა შორის სასწავლო პროცესში თანამშრომლობითი სწავლა "

ლიტერატურა ძირითადად ითვალისწინებდა ერთ ასაკობრივ ჯგუფში მოსწავლეთა თანამშრომლობით სწავლებას მაგრამ თანამედროვე განათლება ზოგადი განათლების კანონი და ესგ სკოლას ავალდებულებს რომ სასწავლო პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული და მოსწავლეს განუვითაროს ყველა ის უნარჩვევა რაც მას 21-ე საუკუნის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოაყალიბებს ყოველივე ამან კი საშუალება მომცა შესწავლილი მეთოდები მომერგო ჩემი სკოლის სასწავლო პროცესისათვის

შევისწავლე თანამშრომლობითი სწავლების შესახებ მასწავლებლებისა და მოსწავლეების დამოკიდებულებები.კლასკომპლექტში მუშაობის ხერხები მოვახდინე პრობლემების იდენტიფიცირება და დავსახე პრობლემების გადაჭრის გზები

კვლევის საწყის ეტაპზე გამოიკვეთა რომ მასწავლებლები არ ფლობდნენ კლასკომპლექტში მუშაობის ხერხებს და თანამშრომლობით სწავლებად მიიჩნევდნენ მოსწავლეთა ორგანიზების ხერხებს - წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობას. აქვე ნათელი გახდა რომ მცირეკონტიგენტიან სკოლაში თანამშრომლობითი სწავლების აქტიურად დანერგვას ხელს უშლიდა რამდენიმე ფაქტორი:

1) ერთი ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეთა მცირე რაოდენობა

2) კლასკომპლექტში პედაგოგთა მუშაობის სირთულე

3) თანამშრომლობით სწავლების საკითხზე ინფორმაციის ნაკლებობა

4) შიში იმისა რომ კლასკომპლექტში თანამშრომლობითი სწავლების დანერგვის შემთხვევაში შესაძლოა გართულდეს კლასის მართვა და გაკვეთილის მიზნების მიღწევა.

5) მცირეკონტიგენტიან სკოლაში სხვადასხვა ასაკობრივი მოსწავლეებისათვის ერთობლივი საგაკვეთილო პროცესი დააზარალებს პედაგოგს ეკონომიურად .

6) კლასკომპლექტში სწავლების შესაბამისი სასკოლო გარემოს შექმნა

დავგეგმეთ განვახორციელეთ, ინტერვენციები რამაც გამოიწვია პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე ზემოქმედება, ამაღლდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა არსებული ცნობიერება, მოხდა ახალი ცოდნის გენერირება და დანერგვა სასწავლო პროცესში რამაც ხელი შეუწყო სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას.

- **მთავარი საკვლევი კითხვისა და ქვეკითხვების ჩამოყალიბება**

მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით პროფესიული ლიტერატურის დამუშავების შემდეგ, ვიმსჯელე და ჩვენთვის პრიორიტეტული საკითხთან მიმართებაში,, მცირეკონტიგენტიანი სკოლის მოსწავლეთა შორის თანამშრომლობით სწავლის უნარის განვითარება,“ შევარჩიე და საბოლოოდ ჩამოვაყალიბე მთავარი **საკვლევი კითხვა** - **როგორ უზრუნველვყოთ გაკვეთილზე, სასწავლო პროცესში, სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარება. ?**

შემდეგ ჩამოვაყალიბე ქვეკითხვები რომელზეც პასუხის გაცემა კვლევის მთავარ კითხვაში წარმოდგენილი პრობლემის მიზეზების დადგენაში დამეხმარებოდა არ შეიცავდა არანაირ რისკს და კვლევის პროცესში მოპოებული ინფორმაცია იქნება ზოგადი დასკვნების ფორმატში გაანალიზებული.კითხვები ასეთია

1) რამდენად აქვთ გათვითცნობიერებული პედაგოგებს სხვადასხვაასაკის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის როლი და მნიშვნელობა მოსწავლეთა დემოკრატიული სოციალური უნარების განვითარებაში

2)იციან პედაგოგებმა, თუ რატომ არის სოციალური უნარები მნიშვნელოვანი?

3)რამდენად უწყობს ხელს მოსწავლის სოციალური უნარები გაკვეთილის პროცესში მათ თანამშრომლობით სწავლას ხელს;

4)რამდენად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს და სტრატეგიებს ;პედაგოგები რომლებიც ასწავლიან კლასკომპლექტებში

5)აცნობენ თუ არა მასწავლებლები მოსწავლეებს თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს და სტრატეგიებს;

6)ეცნობიან თუ არა მასწავლებლები თანამშრომლობითი სწავლის თემატიკაზე სხვადასხვა პროფესიულ ლიტერატურას თუ სტატიას;

7)თანამშრომლობენ თუ არა ერთმანეთთან მასწავლებლები და თუ უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას;

- ## პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

გამოიკვეთა რომ

1)მოსწავლეებს უჭირთ დაამყარონ ურთიერთობა სასწავლო გარემოსთან და გარშემომყოფებთან;

2) მოსწავლეებს ნაკლებად შეუძლიათ საკუთარი გრძნობების გაგება და გამოხატვა, სხვათა თანაგრძნობა და სათანადოდ რეაგირება;

3)მოსწავლეებს აქვთ ნაკლები თვითშეფასება, არა აქვთ საკუთარი თავის რწმენა და იმედი, რომ წარმატებული იქნება თავის საქმიანობაში, სხვებთან ურთიერთობისას ან სხვა მოსწავლეებთან თანამშრომლობის დროს;

4)მოსწავლეებში შეიმჩნევა სხვისი როლის გათავისების უნარის უქონლობა. მათ არ შეუძლიათ მოვლენები დაინახონ სხვა მოსწავლეების თვალთახედვიდან, თანაუგრძნონ სხვა მოსწავლეებს;

5)მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა არ იციან თანაშრომლობითი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენების დადებითი შედეგები;

6)მასწავლებლებმა ნაწილობრივ იციან თანამშრომლობითი სწავლის სხვადასხვა მეთოდების შესახებ;

7)მასწავლებლებს სრულყოფილად არ აქვთ გათვითცნობიერებული სხვადასხვა ასკობრივი ჯგუფის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის როლი და მისი გამოყენების მნიშვნელობა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე.

8)მასწავლებლები ნაკლებად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და შესაბამისად ნაკლებად უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას;

9)მასწავლებლები არ ეცნობიან თანამშრომლობითი სწავლის თემატიკაზე სხვადასხვა პროფესიულ ლიტერატურას თუ სტატიას;

10) ნაკლებად ხდება მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეებისათვის თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებისა და სტრატეგიების გაცნობა;

11)მასწავლებლები აქტიურად არ მონაწილეობენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა საქმიანობებში;

1.5. კვლევის მიზანი და ჰიპოტეზა:

კვლევის მიზანი: გამოკვლეული და შესწავლილი იქნას მცირეკონტიგენტიან სკოლებში მოსწავლეთა დაბალი სოციალური უნარების პრობლემა მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა და შესაბამისი პრევენციების განხორციელება,

გავარკვიოთ სკოლის მასწავლებლები რამდენად იცნობენ მოსწავლეთა პიროვნულ და სოციალურ უნარებს . სასწავლო პროცესში თანამშრომლობითი სწავლის რა მეთოდებს იყენებენ ,სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებს განუვითარონ თანამშრომლობითი სწავლების უნარები სასწავლო პროცესში

მოვძებნო გზები როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ამ უნარების განვითარებაში, როგორ უზრუნველვყოთ მცირეკონტიგენტიანი სკოლის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარება სასწავლო პროცესში. კვლევის შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე დავგეგმო და განვახორციელო ისეთი ცვლილებები, რომლებიც სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითს სწავლას შეუწყობს ხელს და გააუმჯობესებს სწავლა-სწავლების ხარისხს.

კვლევის ჰიპოტეზა: თანამშრომლობითი სწავლის დანერგვა მცირეკონტიგენტიან სკოლაში ეფექტური იქნება თუ შეიქმნება კლასკომპლექტები მასწავლებლები დაეუფლებიან კლასკომპლექტებში მუშაობის მეთოდებს, დაგეგმავენ ისეთ პროექტებს რომელიც გათვლილი იქნება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებისათვის შექმნიან კლასკომპლექტს და განახორციელებენ აქტიობებს თანამშრომლობითი სწავლების სხვადასხვა მეთოდით. გაძლიერდება სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა თანამშრომლობა და ამასთანავე სხვა სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან თანამშრომლობა .დაიგეგმოს და ჩატარდეს ერთობლივი პროექტები და ღონისძიებები რომლებიც სწავლების ამ ფორმას შეესაბამება და ყოველივე ამის შესახებ ინფორმირებულები იქნებიან მოსწავლეები და სასკოლო საზოგადოება.

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის მიმდინარეობის პროცესში საფუძვლიანად შევისწავლე ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები და ის მეთოდური ლიტერატურა რომელიც შეეხება მოსწავლეთა თანამშრომლობით სწავლის მეთოდებსა და სტრატეგიებს აგრეთვე კლასკომპლექტების შექქმნის პრინციპეპს მის დადებით და უარყოფით მხარეებს

იმ მოტივით რომ კვლევას ვატარებ საბაზო საფეხურზე ძირითადი ყურადღება მოზარდობის პერიოდის მოსწავლეთა თავისებურებებზე გავამახვილე წიგნში,,ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები“ კარგად არის აღწერილი უმცროსი მზრდობისა(11-15 წელი) და უფროსი მოზარდობის(15-19წელი) მოზარდთა თავისებურებები (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი 2013წ ავტორი მანანა მელიქიშვილი ,მოზარდთა პიროვნული და სოციალური განვითარება გვ 66-75) თანატოლთა წრე მნიშვნელოვანროლს ასრულებს მოზარდის სოციალური უნარჩვევების განვითარებაში ამ წრეში არსებული თანასწორუფლებიანი ურთიერთობები ხელს უწყობს სოციალური კომპეტენციების ჩამოყალიბებას მოზარდები რომლებიც აპროტესტებენ უფროს ჯგუფში არსებულ წესებს ,მკაცრად იცავენ თანატოლთა ჯგუფში არსებულ ნორმებს და ითვისებენ ჯგუფისადმი სოლიდარობას .

მოზარდის პროსოციალური და მორალური ქცევის ჩამმოყალიბებაზე გავლენას ახდენს;კოგნიტური უნარების განვითარება,,მორალური მსჯელობა .ემპათიის განცდა..პიროვნება, ოჯახი. თანატოლები,სკოლა.კულტურა

უმცროსი მოზარდების ნეგატიური გამოვლინებები;

.ეგოცენტრიზმი

უფროსების მიზანმიმართული მანიპულაცია

ფიზიკური განვითარება წინ უსწრებს ფსიქიკურ განვითარებას მოწყვლადი არამდგრადი ფსიქიკა,ნეგატიური დამოკიდებულება უფროსებისადმი(მშობლები ,მასწავლებლები

კონფლიქტი საკუთარ თავთან და გარშემომყოფებთან

მარტოობის შიში

მიდრეკილება ალკოჰოლის, სიგარეტის და ნარკოტიკისადმი

პედაგოგის მიერ მოზარდების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება კლასში ურთიერთობებს პროდუქტიულ უფრო ემოციურ სახეს აძლევს, როცა მასწავლებელს ესმის მოსწავლეთა ქცევის ჭეშმარიტი მოტივაცია და ღრმა განცდები, მაშინ მას შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეს თავისივე ქცევის მოტივების გაგებაში

წიგნი - „ეფექტური სწავლება სკოლაში“,რომელშიც აღწერილია კვლევებზე დაფუძნებული სწავლება, რომლებიც აუმჯობესებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, (რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინ ი. ფოლოქი გვ. 100-110). გამახვილებულია ყურადღება იმ მეთოდებზე, რომლებიც შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს კლასში მოსწავლეთა დასაჯგუფებლად. თანამშრომლობითი სწავლების სფეროში გამოკვეთილი სპეციალისტების დევიდ ჯონსონისა და როჯერ ჯონსონის (1999) მიხედვით მოყვანილია ამ მეთოდის 5 განმსაზღვრელი ელემენტი:

- პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება;
- ურთიერთგამხნევება;
- ინდივიდუალური და ჯგუფური ანგარიშვალდებულება;
- ინტერპერსონალური და პატარა ჯგუფში მუშაობის უნარები;
- ჯგუფის წინსვლა;

კვლევებიდან და ნაშრომიდან (ჯონსონის, მარუია ნელსონს და სკოტი, 1981) გამოტანილია დასკვნები, რომ თანამშრომლობით სწავლა მოსწავლეთა შორის კონკურენციაზე ორიენტირებულ მეთოდებზე უფრო ეფექტურია

და იმ მასწავლებლებმა რომლებსაც სურთ თანამშრომლობით სწავლაზე მიმართული აქტივობები დაგეგმონ: უნდა გაითვალისწინონ შემდეგი

1) შესაძლებლობების მიხედვით მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფა არ არის მიზანშეწონილი

;2)სასურველია თანამშრომლობითი ჯგუფები იყოს პატარა;

3)თანამშრომლობითი სწავლა სასარგებლო აქტივობაა, მაგრამ ზედმეტად ხშირად არ უნდა გამოვიყენოთ;

მასწავლებლის წიგნი,. ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში“, (მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015 სოფიკო ლობჟანიძე, მაია ფიჩხაძე, მანანა რატიანი, ნინო ლომიძე, ნინო ჭიაბრიშვილი, რუსუდან თედორაძე, მაია ჯალიაშვილი) სადაც წარმოდგენილია და აღწერილია თანამშრომლობითი სწავლების ძალზე საინტერესო მეთოდები.

1)ინტერვიუ სამი ნაბიჯი

2) ჯიქსოუს ტექნიკა

3)სეგმენტური მეთოდი

აღწერილია თითოეული მეთოდი და ამ მეთოდთა მიმდინარეობა, მითითებულია თუ როდის, გაკვეთილის რომელ ეტაპზე შეიძლება გამოყენებულ იქნას თითოეული მათგანი, რა უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა ამ მეთოდების წარმატებით გამოყენებისას, მოცემული აგრეთვე მეთოდთა თეორიული და პრაქტიკული დასაბუთება, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოტანილია დასკვნები პრაქტიკული გამოცდილებიდან

სტატია „ჯგუფური მუშაობის როლი სასწავლო ქმედებების ფორმირებაში“, (3 აპრილი, 2015 მაია ფირჩხაძე, www. Mastsavlebeli. Ge ინტერნეტგაზეთი) სადაც

აღწერილია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობითი სწავლის ჯგუფური მუშაობის ფორმას მოსწავლეთა პიროვნული, შემეცნებითი და სოციალური განვითარებაში აღნიშნულ სტატიაში ვკითხულობთ, „ჯგუფებში ყველა შესაძლებლობაა პიროვნული, შემეცნებითი და სოციალური განვითარებისთვის. მოზარდის მიერ აქ შეძენილი ინტელექტუალური, სოციალური და პიროვნული გამოცდილება მიმართულია როგორც საკუთარი თავისკენ, ასევე შემდეგში – დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ, ამიტომ ჯგუფში მუშაობის გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია“. „სწორედ ჯგუფში, თანაბარ პირობებში მყოფი მოსწავლეების გარმოცვაში გამოიკვეთება სასწავლო-თანამშრომლობითი ღონისძიებების პერსპექტივები“ და რომ ჯგუფში მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა

- პიროვნული განვითარებისთვის;
- თანამშრომლობითი თვისებების ჩამოყალიბება-განვითარებისთვის;
- შემეცნებითი უნარების გაუმჯობესებისთვის;
- კომუნიკაციური უნარების განვითარებისთვის.

ნათია ვაჩეიშვილის ნაშრომი **„თანამშრომლობა სასწავლო პროცესში, როგორც დემოკრატიული ცნობიერების** (ურთიერთდამოკიდებულება, პასუხისმგებლობა და თვითშეფასება) ამაღლების ერთ-ერთი საშუალება“,სადაც ვკითხულობთ: „განათლების ზოგიერთი თეორიტიკოსის (ჯ. დიუი, მ. გრინი, რ. დრეიკურსი, ჯ. ბენქსი) მოსაზრებით, დემოკრატიული განათლება ორ ძირითად პრინციპს ეყრდნობა: 1) თანასწორობის პრინციპი (გამოიხატება პატივისცემაში, თანასწორობაში, ღირსებაში). 2) ურთიერთთანამშრომლობის პრინციპი (არჩევანის თავისუფლება, აქტიური ჩართულობა პრაქტიკულ საგაკვეთილო პროცესში, რომელიც თანამშრომლობით სწავლებას ეფუძნება). (Dewey, 1950; Dreikurs&Grey1968/1993; Glasser, 2004; Banks,2010).

სტატია **„რატომ არის მნიშვნელოვანი გუნდური მუშაობა მოსწავლეთა განვითარებისათვის?“** (6 დეკემბერი, 2013, დავით ბოლქვაძე საიტისათვის: mastsavlebeli.ge). რომელშიც ვკითხულობთ „მოსაზრება, რომ მოსწავლეები სულ უფრო ნაკლებად ურთიერთობენ ერთმანეთთან პირდაპირი, უშუალო კომუნიკაციის გზით. ამის გამო მათ ეკარგებათ უშუალო ურთიერთობის აუცილებელი უნარები. ვფიქრობთ, კარგი იქნება, ამ უნარების დაუფლება სასწავლო პროცესში, უშუალოდ გაკვეთილზეც, მოხდეს“. პირდაპირი კომუნიკაციის პროცესში მოსწავლეს უნვითარდება მოსმენის და საუბარის უნარი ხდება მეტად თავდაჯერებული. მოსმენა, საუბარი და თავდაჯერება წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ უნარებს, რომელთა განვითარებაც ჯგუფური მუშაობით არის შესაძლებელი''

წიგნი - **„კლასის მართვა“ გადმოცემულია კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებლებისათვის** (რობერტ ჯ. მარზანო, იანა ს. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი) მოსწავლის პასუხისმგებლობა კლასის მართვაზე, (გვ 94) სადაც წარმოდგენილია ჩატარებული კვლევები „იმ სტრატეგიების შესასწავლად, რომლებიც მოსწავლეებში პიროვნული პასუხისმგებლობის განვითარებას ეხება. დადებითს შედეგებზე გადის ის სტრატეგიები, რომლებიც აუმჯობესებენ მოსწავლეთა კომპეტენციებს კონკრეტულ აკადემიურ დარგში (სტივენსი, ბლექჰურსტი და სლეთონი, 1991), ზრდიან მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში (ნარაიანი, , ჰიუარდი, გარდნერი, ქოურსონი და ომნესი, 1990)“. აქვე ნათქვამია, რომ ჩატარებული კვლევები, რომლებიც მოსწავლეთა სოციალური უნარების გაუმჯობესებას და გამომუშავებას შეეხება. „სოციალური უნარების გამომუშავება, გულისხმობს მოსწავლეებისათვის იმის სწავლებას, თუ როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეთ მათ თანატოლების ქცევაზე (ქართლეჯი და მილბურნი,1978; მედოუსი, ნილი, ფარქერი და თიმო, 1991)“. კვლევებიდან გამოტანილია დასკვნები, რომ მოსწავლეთა სოციალური უნარები და მათი აკადემიური მოსწრება ურთიერთკავშირშია. (რობისონი, 1985, ბრიქმანი, 1995, დაუერთი, 1989, ფარინგერი, 1996, ქაუფმანი,1995, ბიშოფი, 1989).

მასწავლებლი ვალდებულია, გააცნობიეროს თავისი მოვალეობა, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს შეძლონ საკუთარ ქცევაზე კონტროლი.

„პედაგოგიური გზამკვლევი“ - პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი 2016, თავი 2. სასწავლო გარემო - 2.2. ინტერაქტიური საკლასო გარემო) სადც აღწერილია უსაფრთხო, კეთილგანწყობილი და ორგანიზებული სასწავლო გარემო აღწერილია ჯგუფური მუშაობის წარმართვის წესები აღნიშნულია, რომ „ჯგუფური მუშაობა გამოიყენება სწავლების ყველა საფეხურზე. კვლევები აჩვენებს, რომ სტუდენტები უფრო ადვილად სწავლობენ და უფრო კმაყოფილები არიან სწავლის პროცესით, როდესაც ჩართულები არიან ჯგუფური მუშაობის პროცესში, ვიდრე ინდივიდუალურად მუშაობისას.“ მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი დეტალიც „სწავლების პროცესში ჯგუფური მეთოდები იმ შემთხვევაში გამოიყენება ..., როდესაც საჭიროა ჯგუფური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავება...“

წიგნი (დამხმარე სახელმძღვანელო) **„ეფექტიანი სწავლება - თეორია და პრაქტიკა“**(.გამოცდების ეროვნული ცენტრის, კვლევის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ თავი V, ჯგუფური მუშაობა , გვ 75-84). რომელშიც აღნიშნულია რომ „ჯგუფური მუშაობა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ის ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობას და სოციალიზაციის უნარის განვითარებას. ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეებს უფრო რთული დავალების გადაჭრა შეუძლიათ, რადგან ჯგუფში არსებული ცოდნა და უნარები აღემატება იმ ცოდნას, რაც ცალკეულ მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს“. „ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის სოციალური, კომუნიკაციური და სხვა ინტერპერსონალური უნარების განვითარებას“.

ამავე წიგნში მოცემულია დ. პერკინსის ეფექტური სწავლების 7 პრინციპი:

რომელთაგან ერთი 6 ასე გამოითქმის „განავითარეთ მოსწავლეებში თანატოლებისაგან სწავლის უნარი“. (გვ 34-35). აქ წარმოდგენილია დ. პერკინსის აზრი, სოციალური სწავლის შესაძლებლობაში თანატოლებისაგან სწავლის შესახებ და აქვე მინიშნებულია მასწავლებლის განსაკუთრებული როლი ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის. ხოლო შეჯამების სახით (გვ. 38) ნათქვამია, რომ „მოსწავლეებს ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ თანატოლებისაგან, რაც ეფექტურად შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა საგაკვეთილო პროცესში (წყვილებში ან ჯგუფში მუშაობა, ერთობლივად პრეზენტაციების მომზადება და სხვ.)“ .

სტატია - “თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება” (**www.Mastsavlebeli.ge**, 12 ივნისი, 2013) ათეო ნეფრიძე,სადაც საუბრობს თანამშრომლობით სწავლის უპირატესობების შესახებ და მის ეფექტიანად გამოყენებაზე სასწავლო პროცესში. აღნიშნულია, რომ „ვიგოტსკის თანახმად (1978), მოსწავლეები უფრო მაღალ ინტელექტუალურ დონეს ავლენენ კოლაბორაციულ გარემოში, ვიდრე დამოუკიდებლად სწავლისას“, ხოლო „ჯონსონის მიხედვით (1989), თანამშრომლობითი სწავლა კონკურენტულ და ინდივიდუალურ მეთოდებთან შედარებით ა) უფრო მაღალ პროდუქტიულობას და მიღწევებს უზრუნველყოფს; ბ) უფრო მზრუნველობითია და ხელშემწყობი; გ) აძლიერებს ფსიქოლოგიურ და სოციალურ კომპეტენციებს და თვითშეფასების უნარს .“

თანამშრომლობითი სწავლის მეთოდიკა გამოიყენება წყვილებში, სამეულებსა და მცირე ჯგუფებში (4-5 მოსწავლე).

განხილულია თანამშრომლობითი სწავლის მოდელები: ჯონსონის და კაგანის მოდელები. წარმოდგენილია თითეული მოდელის ძირითადი საფუძვლები:

- “ჯონსონის თანამშრომლობითი სწავლის მოდელის ძირითადი საფუძვლებია: ინდივიდუალური ანგარიშვალდებულება, პირდაპირი/ცოცხალი ინტერაქცია, სოციალური უნარ-ჩვევები, ჯგუფური ანალიზი და პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება (Johnson and Johnson, 1993). ინდივიდუალური

პასუხისმგებლობა და ცოცხალი ინტერაქცია უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართვას პროცესში და სასწავლო შედეგების მიღწევას".

- "კაგანის მოდელის ხერხემალია თანამშრომლობითი მუშაობის ტექნიკა (სტრუქტურები), რომელიც განსაზღვრავს პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის მოქმედებას. …კაგანი კატეგორიულად ეწინააღმდეგება გუნდის ერთიან შეფასებას, რადგან თვლის, რომ გუნდისათვის საერთო ქულის დაწერა მოსწავლის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას უგულებელყოფს, ზოგიერთ მოსწავლეს უსამართლობის განცდას უჩენს, ამცირებს მოტივაციას და აქვე აღწერილია თანამშრომლობითი სწავლის პროცესი და წარმოდგენილია თანამშრომლობითი სწავლების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი: ერთობლივი/ჯგუფური სწავლა, ჯგუფური მატრიცა, წყვილში განხილვა, ურთიერთსწავლება.

ნინო რევიშვილი ,,სწავლა სწავლება კლასკომპლექტში"(8 მაისი 2014წ)საუბარია კლასკომპლექტში სწავლებასთან დაკავშირებით სადაც საუბარია **რა სირთულეებს ქმნის კლას-კომპლექტში სწავლება?**

,,კლას-კომპლექტში სწავლება მასწავლებლისათვის შრომატევადი პროცესია. ის მასწავლებლის განსაკუთრებულ პროფესიულ ოსტატობას, გაკვეთილის ზედმიწევნით დაგეგმვას და დამატებით რესურსებს მოითხოვს. მასწავლებელმა უნდა მართოს სხვადასხვა ასაკის და აკადემიური საჭიროებების მქონე მოსწავლეები და იზრუნოს თითოეულის მოტივირებაზე. სირთულეს ის სასწავლო გარემოც ქმნის, რომელშიც მასწავლებელს უწევს მუშაობა." აქვეა აღნუშნული,,

რა უპირატესობა აქვს კლას-კომპლექტს?

მიუხედავად რიგი სირთულეებისა, კლას-კომპლექტს დადებითი მხარეებიც აქვს. რიგ სკოლებში კლას-კომპლექტების არსებობა მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენის და კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს შექმნის საშუალებას აძლევს.

მაგალითად, მოსწავლეები უკეთ შეიმუშავებენ სწავლის გრაფიკსა და თავისებურებებს, ყალიბდებიან უფრო პასუხისმგებლობიან და დამოუკიდებელ მოსწავლეებად. ამასთანავე, კლას-კომპლექტში ნაკლებად ფორმალური და კეთილგანწყობილი გარემოა, ვიდრე ჩვეულებრივ საკლასო ოთახში, შესაბამისად, მოსწავლეები სწავლობენ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან მუშაობას, უვითარდებათ ურთიერთდახმარებისა და ურთიერთსწავლების უნარები, რაც ჩვეულებრივ კლასებში რთულად მისაღწევი მიზანია. კლას-კომპლექტში სხვადასხვა ასაკის

მოსწავლეების სწორი გადანაწილების შემთხვევაში, უფროსკლასელები ირგებენ მზრუნველი უფროსის, მასწავლებლის როლს, ხოლო უმცროსი საფეხურის მოსწავლეებს საშუალება აქვთ, დააკვირდნენ უფროსკლასელების სამოდელო ქცევას. „

რა უნდა იცოდეს კლას-კომპლექტის მასწავლებელმა?

კლას-კომპლექტის მასწავლებლებს განსაკუთრებით მოეთხოვებათ ბავშვის განვითარების ეტაპების კარგად ცოდნა. შესაბამისად, სწავლების სტრატეგიები, რომლებსაც მასწავლებელი საკლასო სივრცეში გამოიყენებს, ასაკობრივ თავისებურებებს უნდა შეესაბამებოდეს.

კლას-კომპლექტში სწავლებისას მასწავლებელს უნდა შეეძლოს, წარმართოს პოზიტიური ინტერაქცია ჯგუფში და გამოიყენოს მოსწავლეების სოციალური უნარები სწავლის პროცესის ხელშესაწყობად. მან უნდა შექმნას მრავალფეროვანი სასწავლო გარემო, რომელიც ეფექტური და კომფორტული იქნება სხვადასხვა დონის მოსწავლეებისათვის. რაც მთავარია, მასწავლებელს უნდა შეეძლოს მოსწავლეების შეფასების თვისებრივი ინსტრუმენტების (პორტფოლიოებისა და ანგარიშების) გამოყენება. და ბოლოს, მას უნდა შეეძლოს აუხსნას მშობლებს, თუ რა პრინციპითა და სტრატეგიით ახორციელებს სწავლებას. ‘’

თავი III მონაცემთა შეგროვების ხერხები

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი

- სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეები;
- სკოლის საბაზო საფეხურის მასწავლებლები.

3.2. კვლევაში გამოყენებული შერჩევის სტრატეგია

კვლევაში გამოყენებულ იქნა არაალბათური შერჩევის ორი ტიპი:

- სრული შერჩევა - სამიზნე ჯგუფი საბაზო საფეხურის მოსწავლეები;
- მიზნობრივი შერჩევა - სამიზნე ჯგუფი საბაზო საფეხურის მასწავლებლები, მათ შორის სხვა სკოლის შემთავსებელი მასწავლებლები;

სრული შერჩევა - რადგან ძირითადად ეს სტრატეგია გამოიყენება სამოქმედო კვლევებში, თანაც ვიკვლევდით მოსწავლეთა ერთ საფეხურს 7-8-9 კლასის

მოსწავლეებს. სულ 3 მოსწავლე. გენერალური ერთობლიობა არ არის დიდი. შერჩევის ერთობლიობა ემთხვევა გენერალური ერთობლიობას. ამავე დროს მოსწავლეებს პირდაპირი კავშირი აქვს შესასწავლ საკითხთან.

მიზნობრივი შერჩევა -. მიზნობრივი შერჩევის დროს ვარჩევთ იმ პირებს , რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვთ საკვლევ პრობლემასთან. რადგან კვლევაში მონაწილეობდა საბაზო საფეხურის მოსწავლეები შეირჩა ის პედაგოგები, რომლებიც უშულოდ ასწავლიან საბაზო საფეხურზე ,რადგან ძალზე მნიშვნელოვანია მათი დამოკიდებულებები და მოსაზრებები კვლევის პროცესში და გასათვალისწინებელია კვლევის მომდევნო ეტაპებზე იმ ცვლილებების განხორციელებისას, რაც კვლევის შედეგად უნდა დაინერგოს.

3.3. კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის პროცესში გადავწყვიტე გამომეყენებინა როგორც თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტები, ასევე რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები.

3.3.1. თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტები:

- ჯგუფური ინტერვიუ მოსწავლეებთან;
- ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან;

ფოკუსჯგუფი მოსწავლეებთან. ფოკუსჯგუფის წევრები იყო ყველა მოსწავლე, რადგან მათი რაოდენობა მცირეა. შერჩევის საფუძველი იყო მათი შეხედულებები თანამშრომლობით სწავლებასთან დაკავშირებით. როგორი დამოკიდებულებანი აქვთ აღნიშნულ უნარების გამოყენებასთან დაკავშირებით სასწავლო პროცესში.

გააზრებული აქვთ თუ არა მნიშვნელოვანი როლი ამ მეთოდით სწავლის უპირატესობაზე. მოსწავლეებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე ადვილად გასაგები კითხვარი მოსწავლეთა ანკეტირებისათვის საკვლევი პრობლემის შესასწავლად, გამოვიყენე დახურული კითხვები („დიახ/არა“ ტიპის), ასევე კითხვები მრავალი არჩევითი პასუხებით, რომელსაც ახლავს რამდენიმე სავარაუდო პასუხი. მოსწავლეებს შეეძლოთ აერჩიათ მხოლოდ ერთი პასუხი ან რამდენიმე. კითხვარი შედგებოდა 15 კითხვისაგან და ფოკუსჯგუფის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 30 წთ.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან; თვისობრივი კვლევის გამოყენებით, მასწავლებლებთან მოვიპოვე ინფორმაცია მასწავლებლების დამოკიდებულებისა, კვლევის ძირითადი საკითხის მიმართებაში , მასწავლებლებთან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ჩატარების მიზნით შევიმუშავე კითხვები, სადისკუსიოდ. ინტერვიუს პროცესი მიმდინარეობდა 50 წთ-ის განმავლობაში.

3.3.2. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი:

- ანკეტირება მოსწავლეებთან.

რაოდენობრივი კვლევის ჩასატარებლად საბაზო საფეხურის ყველა მოსწავლეებთან. გამოვიყენე წინასწარ მომზადებული კითხვები გავაცანი მოსწავლეებს კვლევის არსი და მნიშვნელობა დავარწმუნე რომ დაცული იქნებოდა მათი კონფიდენციალობა წინასწარ გადაუხადე მადლობა თანამშრომლობისათვის. და გავაცანი რა დროის განმავლობაში უნდა ჩატარებულიყო ანკეტირება.

კითხვარის მიზანია აღმომეჩინა რამდენად აქვთ განვითარებული მოსწავლეებს პიროვნული მახასიათებლები ემპათია, კომუნიკაციის უნარი, სამართლიანობა, სხვისი პატივისცემა, კეთილგანწყობა, სხვათა დახმარება და ა. შ. ამავე დროს სოციალური და ემოციური უნარ-ჩვევები გამომუშავებული, რამდენად ავლენს ამ თვისებებს, რადგან ასეთი უნარები მოსწავლეებში განსაკუთრებულ როლს თამაშობს თანამშრომლობითი სწავლისას საგაკვეთილო პროცესში . აგრეთვე, საინტერესო იყო, რამდენად იცნობდნენ მოსწავლეები თანამშრომლობითი სწავლი, მეთოდებს და თუ იყენებენ ისინი ამ მეთოდებს გაკვეთილზე. რომელიმე გაკვეთილზე

თავი IV. კვლევის შედეგები

რადგან კვლევის პროცესში გამოვიყენე როგორც თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტები, ასევე რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები, ამიტომ შესაბამისად მოვახდინე მონაცემთა როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი ანალიზი.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის შემდეგი ინსტრუმენტი:

- ანკეტირება საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან - სულ 3 მოსწავლე.

კითხვარი შედგებოდა 15 კითხვისაგან. კითხვარის მიზანს შეადგენდა აღმომეჩინა რამდენად აქვთ განვითარებული მოსწავლეებს პიროვნული მახასიათებლები ემპათია, კომუნიკაციის უნარი, სამართლიანობა, სხვისი პატივისცემა, კეთილგანწყობა, სხვათა დახმარება. აგრეთვე, საინტერესო იყო, რამდენად იცნობდნენ მოსწავლეები თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს და თუ იყენებენ ისინი ამ მეთოდებს გაკვეთილზე.

ანკეტირების მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი ***ცხრილი N1*** სახით:

	K!	K2	K3	K4	K5	K6	K7	K8	K9	K10	K11	K12	K13	K14	K15
რესპ1	1	1	1	1	1	1	2	3	1	2	3	1	4	1	2
რესპ2	2	2	2	2	2	2	3	3	2	2	3	1	4	3	2
რესპ.3	2	2	2	2	3	3	3	1	3	1	1	2	4	3	1

ცხრილი N2-ში წარმოდგენილია თითოეულ შეკითხვაზე გაცემული პასუხების რაოდენობა:

K!	K2	K3	K4	K5	K6	K7	K8	K9	K10	K11	K12	K13	K14	K15
1	1	1	1	1	1		1	1	1	1	2		1	1
2	2	2	2	1	1	1		1	2		1			2
3				1	1	2	2	1		2			2	
4												3		

მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა:

კითხვა 1.შეგიძლია თანატოლებთან ახლო ურთიერთობების დამყარება? მონაცემები ასე გადანაწილდა: კი შემიძლია 33,33% მიჭირს 66,66% არა 0



კითხვა 2. შეგიძლია მოუსმინო შენი სკოლის მოსწავლეს და პატივი სცე მის აზრს?

შედეგები შემდეგია: კი შემიძლია 33,33% , იშვიათად 66.66% არ შემიძლია 0%



კითხვა 3. შეგიძლია აღიარო შენი სკოლის მოსწავლის ძლიერი მხარეები?

შედეგი ასეთია: კი შემიძლია 33,33% ყოველთვის არა 66,67%



კითხვა 4.შეგწევს უნარი დაეხმარო თანატოლს და იზრუნო მასზე?

შედეგი ასეთია კი შემიძლია 33,33% ზოგჯერ მაქვს სურვილი 66,67%



კითხვა 5. შეგიძლია კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვა მშვიდობიანი გზით?

მოსწავლეთა აზრი თანაბრად გადანაწილდა 33,33%



კითხვა 6. მართავ თუ არა საკუთარ ემოციებს?

მოსწავლეთა აზრი ასე გადანაწილდა კი 33,33% : იშვიათად 33,33% არა 33.33%



კითხვა 7. გაქვს თუ არა საკუთარი თავის რწმენა?

შედეგები ასე განაწილდა: კი-33,33% ზოგჯერ 0% არ ვარ დარწმუნებული 66,66%

კითხვა 8. ხართ თვითკრიტიკული?

შედეგები ასე გადანაწილდა კი ვარ 33,33% იშვიათად 0% ;არა 66,66%



კითხვა 9. გსურს იყო სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილე?

კი - ***33,33%;*** ზოგჯერ , - ***33,33%;*** დამოკიდებულია მასწავლებელზე - ***33,33%;*** არასოდეს 0%



კითხვა 10. ვისთან ატარებ. მეტ დროს ?

ყოველთვის თანატოლებთან 0%; უფროსებთან - 33,33%; მარტო ყოფნა ურჩევნია - 33,33%. უმცროსებთან 33.33%



კითხვა11.იცი რას ნიშნავს კლასკომპლექტში სწავლა?

შედეგები: კი - 100% არა-0%



კითხვა 12. იცით რას ნიშნავს თანამშომლობითი სწავლა?

შედეგები ასე გადანაწილდა კი 33.33% არა -66.67%



კითხვა 13. სწავლების რომელ ფორმას მიანიჭებთ უპირატესობას?

შედეგები ინდივიდუალურს 66,67 წყვილებში მუშაობა 0 % ჯგუფურ

მუშაობას-33,33%



კითხვა 14. სწავლების რომელი ფორმა გამოიყენება გაკვეთილების პროცესში უფროხშირად?

შედეგები; ინდივიდუალური 66,67% წყვილებში მუშაობა 33,33%



კითხვა 15. იცნობთ თუ არა თანამშრომლობითი სწავლების მეთოდს - „ინტერვიუ 3 ნაბიჯი“ ; ,,ჯიგსოუს ტექნიკა“;„სეგმენტური მეთოდი“ ?

შედეგები არა 100% კი 0%



4.2. შეგროვებული ინფორმაციის თვისობრივი ანალიზი

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი თვისობრივი ინსტრუმენტები:

- ფოკუსჯგუფი საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან;
- ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან;

სამოქმედო კვლევის პროცესში რადგან გამოყენებული მქონდა თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტები: • ჯგუფური ინტერვიუ მოსწავლეებთან და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან, ამიტომ შესაბამისად, ჩავატარე მონაცემთა თვისობრივი ანალიზი, რომელიც ეფუძნება კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ჯგუფური ინტერვიუ საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან;

პრაქტიკული კვლევის ძირითადი საკვლევი კითხვის: **„როგორ უზრუნველვყოთ საგაკვეთილო პროცესში მცირეკონტიგენტიან სკოლებში სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარება“,** შესახებ

მოსწავლეთა ინტერესის და აზრის გარკვევისათვის განხორციელდა ჯგუფური ინტერვიუ საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან. სულ 3 მოსწავლე. ფოკუს ჯგუფის მთავარი მიზანი იყო დაგვედგინა თუ როგორ განმარტავდნენ მოსწავლეები, სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლას, მომესმინა მათი აზრი და შეხედულებები. ფოკუსჯგუფის შედეგებზე დაყრდნობით შევადგინე სადისკუსიო კითხვები:

- თქვენი აზრით რას ნიშნავს სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობით სწავლა.
- რა მნიშვნელობა აქვს კლასკომპლექტში მოსწავლეებს შორის თანამშრომლობით სწავლას.
- რა პიროვნული მახასიათებლებია საჭირო იმისათვის , რომ ადვილად შეძლონ გაკვეთილის პროცესში ერთმანეთს შორის სოციალური და თანამშრომლობითი ურთიერთობა.
- რამდენად იცნობთ თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს და თუ იყენებთ ამ მეთოდებს გაკვეთილზე.

კითხვარის მიხედით გავმართე დისკუსია და გავაკეთე ჩანაწერები.

კითხვაზე -,, რას ნიშნავს სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობით სწავლა.'' და ,,რა მნიშვნელობა აქვს კლასკომპლექტში მოსწავლეებს შორის თანამშრომლობით სწავლას.''

მოსწავლეების პასუხებიდან გამომდინარე აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებს კარგად არ აქვთ გააზრებული თუ რას ნიშნავს სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობით სწავლა და მისი მნიშვნელობა გაკვეთილის პროცესში. მოსწავლეებს ძალიან აწუხებთ საგაკვეთილო პროცესში მარტოობა და ისეთ გაკვეთილებზეც კი როგორიცაა ხელოვნება და სპორტი ურთიერთ თანამშრომლობის არარსებობა. აღნიშნავდნენ, რომ გაკვეთილზე სასწავლო

აქტივობებში გამოყენებულია უფრო მეტად დამოუკიდებელი მუშაობის ფორმა, ვიდრე თანამშრომლობითი სწავლის ფორმები. მათთვის პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე გაკვეთილზე მხოლოდ მასწავლებელთან ურთიერთობა ამ თუ იმ საკითხის განხილვისას,

კითხვაზე რა პიროვნული მახასიათებლებია საჭირო იმისათვის , რომ ადვილად შეძლონ გაკვეთილის პროცესში ერთმანეთს შორის სოციალური და თანამშრომლობითი ურთიერთობა.

მოსწავლეებმა დაასახელეს, რომ მათ უნდა შეეძლოთ ერთმანეთის დახმარება, საკუთარი ემოციების კონტროლი, უნდა გააჩნდეთ ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა, სამართლიანობა, ურთიერთმოსმენის და მოლაპარაკების უნარი, რომ ამ ჩვევებს ისინი უმეტესად შეიძენენ თანატოლებთან ან სხვა მოსწავლეებთან ურთიერთობისას.

შეკითხვაზე**„რამდენად იცნობთ თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს და თუ იყენებთ ამ მეთოდებს გაკვეთილზე“** - მოსწავლეთა უმრავლესობის უარყოფითი პასუხი განპირობებულია იმით, რომ ნაკლებად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში, მათ ის მასწავლებლებიც კი რომლებიც ასწავლიან კლასკომპლექტში. მოსწავლეთა აზრით, მასწავლებლის როლი ძალზე დიდია, მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაში მასწავლებელმა უნდა შექმნას სწორედ გაკვეთილზე ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეებს ერთმანეთის მიმართ ექნებათ პოზიტიური დამოკიდებულება, ერთმანეთს მოუსმენენ დათავიანთ აზრებს ერთმანეთს გაუზიარებენ.

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან;

კვლევის პროცესში პრობლების უკეთ შესწავლის მიზნით გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან შევარჩიე ის მასწავლებლები რომლებიც ასწავლიდა სამიზნე კლასებს საბაზო საფეხურზე სულ 8

მასწავლებელი, ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო კვლევის ძირითადი საკითხის **„როგორ უზრუნველვყოთ თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარება სხვასასხვა კლასის მოსწავლეებს შორის საგაკვეთილო პროცესში “,** მიმართებაში, მათი დამოკიდებულებები და მოსაზრებები, რომლებსაც გავითვალისწინებდით კვლევის მომდევნო ეტაპებზე და შემდგომი ცვლილებების განხორციელებაზე, კვლევის შემდეგ.

წინასწარ შემუშავებული კითხვებით გავმართე ინტერვიუ ,ინტერვიუს მიზანი იყო სხვადასხვა მასწავლებლიდან მომეპოვებინა ინფორმაცია საკვლევი საკითხის შესახებ ინტერვიუს დროს ვაკეთებდი ჩანაწერებს.

კითხვაზე - **„რამდენად არის ცნობილი თქვენთვის თანამშრომლობითი სწავლის არსი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას“** ?

მასწავლებელთა პასუხი ძირითადად ერთნაირია თეორიულად ცნობილია მაგრამ პრაქტიკულად ვერ ანხორციელებენ ამ მეთოდით სწავლებას კლასში ერთი მოსწავლის ყოფნის გამო, მხოლოდ სპორტისა და ხელოვნების მასწავლებლებს აქვთ ამის საშუალება მაგრამ ისინიც მთელ კლასკომპლექსთან მუშაობენ

პედაგოგებმა იციან რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობითი სწავლების მეთოდის გამოყენებას და დანერგვას გაკვეთილზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მაგრამ მაინც გამოწვევისა და პრობლემის წინაშე დგანან გაკვეთილზე თანამშრომლობითი სწავლას გამოყენებასთან რადგან კლასში თითო მოსწავლე ყავთ ამიტომ აუცილებელია შეიქმნას კლასკომპლექტები რაც სხვა სირთულეს წარმოქმნის . მათი სურვილია სიღრმისეულად ჩაწვდნენ თანამშრომლობითი სწავლის გამოყენების პრინციპებს და მეთოდებს კლასკომპლექტში ,

კითხვაზე - **„რამდენად იცნობთ სწავლების იმ თანამედროვე მეთოდებს/სტრატეგიებს, რომელთა გამოყენებითაც მცირეკონტიგენტიან სკოლაში**

სასწავლო პროცესი არ იქნება მოსწავლეებისათვის მოსაწყენი და, ამავე დროს, მათ განუვითარდებათ თანამშრომლობითი უნარები“ ? ინტერვიუერთა მცირე ნაწილმა 10%-მა, დაასახელა, რომ იცნობს მაგალითად, ჯგუფურ მუშაობას, წყვილებში მუშაობას და სეგმენტურ მეთოდს, სხვა მეთოდები მათთვის უცნობია. რაც შეეხება ინტერვიუერთა დანარჩენი 90% -სათვის თანამშრომლობითი სწავლის მეთოდები ნაკლებად არის ცნობილი.

კითხვაზე: **თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით პროფესიული განვითარების რომელ ფორმაში მიგიღიათ მონაწილეობა: ტრენინგი, მასწავლებელთა თანამშრომლობა, გაკვეთილზე ურთიერთდასწრება, კვლევის ჩატარება, მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები და ა. შ “?**

პედაგოგთა პასუხები შემდეგი იყო თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით ტრენინგები გავლილი ჰქონდა 20 % -ს, გაკვეთილზე ურთიერთდასწრება 20 %-ს, კვლევა 0%, მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა 20%-ს, სასწავლო ჯგუფებში, გამოცდილების გაზიარებისა და ლიტერატურის გაცნობით, 40%-ს.

შემდგომი კითხვა, რომლის მიხედვითაც წარიმართა ინტერვიუ მასწავლებლებთან შემდეგი იყო: როგორც ვხედავთვ მოსწავლეები უმეტეს დროს სკოლაში ატარებენ ისინი ყველანი განსხვავებული ასაკის არიან და უჭირთ ერთმანეთთან ურთიერთობა სკოლაში ყოფნის უმეტეს დროსაც ცალკ ცალკე ატარებენ გაკვეთილებზე გიფიქრიათ თუ არა რაიმე მეთოდით თქვენი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე გეზრუნათ ამ მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი უნარების განვითარებაზე მათი ასაკობრივი უფროს უმცროსობის გავლენის გამოყენებით.ჩვენ გვსურს თუ არ გვსურს, ისინი ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენენ (დადებითსაც და უარყოფითსაც) ამ ურთიერთობებში მასწავლებლის როლი განუსაზღვრელად დიდია,

- პედაგოგებს გაუჭირდათ ამ კითხვის ირგვლივ დადებითი პასუხი დაეფიქსირებინათ. რადგანაც არ გაუკეთებიათ რაიმე პროექტები ღონისძიებები რომლებშიც ყველა მოსწავლეს ჩართავდნენ , ისინი ფიქრობენ რომ ასეთი სასწავლო პროცესი შესაძლოა უმართავი გახდეს, თუმცა ერთ საერთო აზრი გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს ბევრი რამის სწავლა შეუძლია ერთმანეთისაგან უფროს მოსწავლეს შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს უმცროსზე და აქ კი მასწავლებლის განსაკუთრებული უნარია საჭირო, რომ მივიღოთ თანამშრომლობა.

კითხვაზე **გამოგიყენებიათ სასწავლო პროცესში თანამშრომლობითი სწავლების შემდეგი მეთოდები; ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინტერვიუ 3 ნაბიჯი, სეგმენტური მეთოდი, აზროვნების 6 ქუდი... (ან სხვა)?** მასწავლებელთა უმრავლესობისათვის უფრო მეტად ცნობილია ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა. გამოიკვეთა პედაგოგები რომლებისთვისაც ცნობილია სწავლების მეთოდები: „ინტერვიუ 3 ნაბიჯი“, „სეგმენტური მეთოდი“ და „აზროვნების 6 ქუდი“, მაგრამ საგაკვეთილო პროცესში არ იყენებენ მცირე კონტიგენტის გამო.

კითხვაზე **პროფესიული განვითარების რომელ ფორმას მიანიჭებთ უპირატესობას თანამშრომლობითი სწავლის შესახებ პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით ცოდნის მისაღებად, ტრენინგს, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ჩატარებას, სკოლის ბაზაზე პროფესიულ განვითარების ჯგუფებში გაერთიანებას, მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობას სამუშაო შეხვედრებში, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, პროფესიული ლიტერატურის გაცნობა თუ სხვა“ ?**

მასწავლებლების აზრი ასე გადანაწილდა, მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობას სამუშაო ჯგუფებში გამოცდილებისა და გაზიარების მიზნით 40% პროფესიული ლიტერატურის დამუშავებას ზემოთაღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით10% ტრენინგ-პროგრამებში მონაწილეობა 50%, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ჩატარება-0%

ინტერვიუების შედეგად შეგროვებული ინფორმაცია საფუძველზე დავადგინე , რამდენად იცნობენ პედაგოგები კლასკომპლექტში მუშაობას თუ როგორ აქვთ გათვითცნობიერებული პედაგოგებს სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის როლი და მნიშვნელობა, რამდენად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში პედაგოგები თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს და რა ღონისძიებების და აქტივობების განხორციელება სურთ მასწავლებლებს თანამშრომლობითი სწავლის დანერგვასთან მიმართებაში მცირეკონტიგენტიან სკოლაში საგაკვეთილო პროცესში.

4.3. კვლევის ძირითადი მიგნებები და დასკვნები

სამოქმედო კვლევის პროცესში მონაცემთა შეგროვებული ინფორმაციის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა კვლევის რამდენიმე მნიშვნელოვანი და ძირითადი მიგნება და დასკვნა:

1 მცირეკონტიგენტიანი სკოლის მოსწავლეებს არა აქვთ განვითარებული ერთმანეთს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარი საგაკვეთილო პროცესში;

2 მოსწავლეები ნაწილობრივ იცნობენ თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს

3 მასწავლებლები სრულად ვერ ავლენენ იმ მეთოდების და სტრატეგიების ცოდნას, რომლებიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის განვითარებას საგაკვეთილო პროცესში;

4-მასწავლებლებს ღრმად და საფუძვლიანად არ აქვთ გააზრებული სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის როლი და უპირატესობანი სასწავლო პროცესში;

5-მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში ნაკლებად გეგმავენ და იყენებენ ისეთ აქტივობებს სადაც სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს აქტიურად ჩართვის შესაძლებლობა მიეცემათ მათი შესაძლებლობის და საჭიროების შესაბამისად.

თავი V ინტერვენცია. ინტერვენციის აღწერა და მისი შედეგები. ინტერვენციის შეფასება

5.1.დაგეგმილი ინტერვენციები

გაანალიზებულ შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავე სავარაუდო ინტერვენციები

ინტერვენცია 1. სამუშაო შეხვედრა (პირველი შეხვედრა) კვლევის პროცესში მონაწილე მასწავლებლებთან (სულ 8 მასწავლებელი), სადაც მოხდება თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით სხვადასხვა პროფესიული ლიტერატურის დამუშავება და წარმოდგენილი იქნება შესაბამისი პრეზენტაციები

კერძოდ პირველ რიგში კიდევ ერთჯერ გავეცანით საბაზო საფეხურის მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს ,წიგნში,,ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები“ კარგად არის აღწერილი უმცროსი მზრდობისა(11-15 წელი) და უფროსი მოზარდობის(15-19წელი) მოზარდთა თავისებურებები (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი 2013წ ავტორი მანანა მელიქიშვილი ,მოზარდთა პიროვნული და სოციალური განვითარება გვ 66-75)

- წიგნი „ეფექტური სწავლება სკოლაში“, თავი 7-ის მიხედვით „თანამშრომლობითი სწავლა“, რობერტ ჯ. მარზანო და სხვ... გვ 100-110;

• ინტერნეტგაზეთი www. Mastsavlebeli.ge “თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება”.12 ივნისი, 2013 თეო ნეფარიძე;

სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით სხვადასხვა ნაშრომის დამუშავება და, შესაბამისად, მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება. ამ მიზნით დამუშავებულ იქნა სხვადასხვა ლიტერატურა მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის შესახებ. გავეცანით თანამშრომლობითი სწავლის მეთოდის გამოყენებით კვლევის შედეგებს და რეკომენდაციებს. საინტერესო იყო იმ კვლევის დასკვნების გაცნობა რომელიც ეხებოდა თანამშრომლობითი სწავლის პრაქტიკულად გამოყენებას კლასში. რჩევებს გაკვეთილზე დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისად

სტატიების განხილვის შედეგად გავეცანით თანამშრომლობითი სწავლის მოდელებსა და მეთოდებს დავინახეთ რომ თანამშრომლობითი სწავლით წარმართული სასწავლო პროცესი, ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის ჯანსაღი ურტიერთობის დამკვიდრებას და სოციალური უნარების განვითარებას.

• სამუშაო შეხვედრა (მეორე შეხვედრა) კვლევის პროცესში მონაწილე მასწავლებლებთან (სულ 8 მასწავლებელი), შეხვედრის მიზანი იყო თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით სხვადასხვა პროფესიული ლიტერატურის დამუშავება ,დამუშავებული იქნა

- მასწავლებლის წიგნი „ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში“ მიხედვით :
- თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები ,,ინტერვიუ 3 ნაბიჯი’(სოფიკო ლობჟანიძე გვ61-69)
- თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები „ჯიგსოუს ტექნიკა“,(სოფიკო ლობჟანიძე, გვ 70-77)

- მასწავლებლის წიგნი „ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში“ მიხედვით : თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები „სეგმენტური მეთოდი“, სოფიკო ლობჟანიძე, გვ 115-123;
- მასწავლებლის წიგნი „ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში“ მიხედვით : „აზროვნების 6 ქუდი“, მაია ფიჩხაძე , გვ 124-138;

საინტერესო იყო მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის განვითარების ხელშემწყობი ისეთი მეთოდების გაცნობა, როგორიცაა: „ინტერვიუ 3 ნაბიჯი“, „ჯიგსოუს ტექნიკა“, „სეგმენტური მეთოდი“, „აზროვნების 6 ქუდი“, განვიხილეთ ამ მეთოდების აღწერა, გაკვეთილის რომელ ფაზაში არის რეკომენდირებული მათი გამოყენება. რომ გაკვეთილი გავხადოთ უფრო საინტერესო და მივაღწიოთ დასახულ მიზანს

- სამუშაო შეხვედრა (მესამე შეხვედრა) კვლევის პროცესში მონაწილე მასწავლებლებთან (სულ 8 მასწავლებელი), შეხვედრის მიზანი იყო კლასკომპლექტის შექმნასთან და კლასკომპლექტში მასწავლებლის მუშაობასთან დაკავშირებით ლიტერატურის დამუშავება ,დამუშავებული იქნა

“ინტერნეტგაზეთი www. Mastsavlebeli.ge “ სწავლა და სწავლება კლასკომპლექტში”.8მაისი 2014 ნინო რევიშვილი,

“ინტერნეტგაზეთი www. Mastsavlebeli.ge “ სწავლა და სწავლება კლას-კომპლექტში”.31 მარტი 2017 ნინო დათუკიშვილი

- სამუშაო შეხვედრის შემდეგ ნათელი გახდა თუ რა არის კლასკომპლექტი რა სირთულეებს ფლობს კლასკომპლექტი და რა უპირატესობას აქვს კლასკომპლექტს

კლასკომპლექტში სწავლება მასწავლებლისაგან განსაკუთრებულ პროფესიულ ოსტატობას მოითხოვს მან უნდა მართოს სხვადასხვა ასაკის და სხვადასხვა აკადემიური საჭიროების მქონე მოსწავლეები და იზრუნოს მათ მოტივირებულ

სასწავლო გარემოს შექმნაზე გაკვეთილზე და მიაღწიოს ესგ გათვალისწინებულ მიზნებს

მიუხედავად სირთულეებისა კლასკომპლექტში სწავლა- სწავლება მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც უქმნის საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენის საშუალებასა და კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს . კლასკომპლექტში მოსწავლეებს უნვითარდებათ ურთიერთდახმარებისა და ურთიერთსწავლების უნარები რაც ჩვენი კვლევის მიზანია

ინტერვენცია 2. **შეხვედრა მოსწავლეებთან** დამუშავებული თანამშრომლობითი სწავლის მეთოდების გაცნობა მოსწავლეებისათვის; ინტერვენციის მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის შესახებ. კლასკომპლექტის შექმნა საბაზო საფეხურზე და თანამშრომლობითი სწავლების მეთოდების დანერგვა სასწავლო პროცესში, შესაბამისად, გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება დამუშავებული და განხილული თანამშრომლობითი სწავლის მეთოდების გამოყენებით;

ინტერვენცია 3. შეხვედრა მასწავლებლებთან,(შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა) თანამშრომლობითი სწავლა-სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების გაკვეთილებზე დანერგვის პროცესში მიღებულ შედეგებზე შეხვედრის მიზანი იყო თითოეულ მასწავლებელს ესაუბრა თავისი პრაქტიკული გამოცდილებისა და იმ შედეგების შესახებ, მას შემდეგ, რაც სასწავლო პროცესში გამოიყენეს კლასკომპლექტში თანამშრომლობითი სწავლა-სწავლების მეთოდები და როგორ შეუწყო ხელი ამ მეთოდების დანერგვამ მოსწავლეებში პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებას, რაც საფუძველი გახდება მათი სწავლის ხარისხის ამაღლების.

- **5,2 ინტერვენციის შეფასების ინსტრუმენტები.. ინტერვენციის შეფასება მასწავლებლების მიერ.**

ინტერვენციის შეფასებისათვის გამოყენე თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტი:

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან;

შევადგინე კითხვები ინტერვიუსათვის. ***(დანართი N3)***. ინტერვიუში მონაწილეობდა ყველა ის მასწავლებელი, რომელიც თავიდანვე მონაწილეობას ღებულობდნენ კვლევის პროცესში - სულ 8 მასწავლებელი, რომლებიც უშუალოდ ასწავლიდა საბაზო საფეხურზე

მასწავლებლებს გავაცანი ინტერვიუს მიზანი. შექმნილი იყო გარემო მათი აზრის თავისუფლად და გულახდილად გამოხატვისათვის. ინტერვიუ მიმდინარეობდა 40 წთ-ის განმავლობაში.

გთავაზობთ ინტერვენციის შეფასებას მასწავლებლების მიერ

პირველი კითხვა, შეეხებოდა იმ მიზეზს რომელიც ერთერთ მიგნებად დასახელდა კვლევის პროცესში რომ: მასწავლებლებს ღრმად და საფუძვლიანად არ აქვთ გააზრებული მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის როლი და უპირატესობანი სასწავლო პროცესში ე.ი მათი ცნობიერების დონე დაბალია. ამ საკითხთან მიმართებაში. და დავსვი კითხვა მიზეზზე, კერძოდ, ამაღლდა თუ არა მასწავლებელთა ცნობიერება ამ მიმართულებით. **კითხვა ასეთია:** ამაღლდა თუ არა, თქვენი ცნობიერების დონე თანამშრომლობითი სწავლების მეთოდებზე?

მასწავლებლებმა დადებითად შეაფასეს კვლევის პროცესი. აღნიშნეს, რომ დაგეგმილმა და ჩატარებულმა აქტივობებმა, როგორიც იყო მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით, პროფესიული ლიტერატურის დამუშავებამ და შესწავლამ, ასევე საბაზო საფეხურზე კლასკომპლექტის შექმნამ და მიღებული ცოდნის შემდეგ

გაკვეთილების დაგეგმვამ , ჩატარებამ და შემდგომ ამ გაკვეთილების ანალიზიმა, რა ხელი შეუწყო მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლებას მცირეკონტიგენტიანი სკოლის მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის შესახებ და მის უპირატესობაზე ტრადიციული სწავლის მეთოდების გამოყენებასთან შედარებით.

შემდგომ კითხვაზე: **გახდა თუ არა ცნობილი ის ინტერაქტიული მეთოდები და სტრატეგიები , რომელთა გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობდა მცირეკონტიგენტიანი სკოლის მოსწავლეებს სოციალური უნარების განვითარებას,?** მასწავლებლებისაგან დადებითი პასუხი მივიღე.

შემდეგ კითხვაზე- **როგორ შეიცვალა თქვენი პედაგოგიური პრაქტიკა, რა ცვლილებები განხორციელდა თქვენს პრაქტიკაში? იმოქმედა თუ არა დაგეგმილმა ინტერვენციებმა არსებული პრობლემის მოგვარებაზე?**

- მასწავლებლებმა მიპასუხეს : რომ კვლევის წარმართვამ და კვლევის პროცესში განხორციელებულმა აქტივობებმა დადებითად იმოქმედა მათ პედაგოგიურ პრაქტიკაზე, გაიზარდა ურთიერთთანამშრომლობა , შეიცვალა ცნობიერება მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის შესახებ , რომ მცირეკონტიგენტიან სკოლაში სადაც ჯგუფებში თითო ბავშვია კლასკომპლექტის შექმნით და თანამშრომლობითი სწავლის მეთოდების დანერგვით სასწავლო პროცესში მოსწავლეებს განუვითარა კომუნიკაციისა და ერთმანეთთან სოციალიზაციის უნარები. ამაღლდა მოსწავლეთა ცნობიერება და გაიზარდა მოტივაცია , გაკვეთილი უფრო საინტერესო და სახალისო გახდა რამაც აამაღლა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება.

5.3. ინტერვენციის შეფასება მოსწავლეების მიერ.

მოსწავლეების მიერ ინტერვენციის შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი ანკეტირება მოსწავლეებთან - სულ 3 მოსწავლე. სამიზნე ჯგუფი იყო სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეები. ანკეტირება წარიმართა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით.

დანართი 4.

მოსწავლეების მიერ ინტერვენციის შეფასების შედეგები წარმოდგენილია

დიაგრამებზე:




რომელი მეთოდია თქვენთვის ნაცნობი და რომელი ახალი ?
120%
100%
80%
60%
40%
20%
0%
წყვილებში მუშაობა
ჯგუფური მუშაობა
სეგმენტური მეთოდი
ინტერვიუ 3 ნაბიჯი
ჯიგსოუს მეთოდი
აზროვნების 6 ქუდი
ნაცნობია
ახალია

შეგიძლია თანატოლებთან ახლო ურთიერთობების დამყარება?
დიახ
არა


როგორ შეუწყო ხელი ინტერვენციამ თქვენი სოციალური უნარების განითარებაში ?
კარგად
ნაწილობრივ
არ შეუწყო


სწავლების რომელს ფორმას მიანიჭებდით უპირატესობას
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
ინდივიდუალურს
თანამშრომლობითს
მთელ კლასთან ერთად

თავი VI კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები

6.1. კვლევის მიგნებები - სამოქმედო კვლევის პროცესში შეგროვებული ინფორმაციის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა კვლევის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

I მცირეკონტიგენტიანი სკოლის მოსწავლეებს სრულყოფილად არა აქვთ განვითარებული ერთმანეთს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარი საგაკვეთილო პროცესში;

II მცირეკონტიგენტიანისკოლის მოსწავლეები ნაწილობრივ იცნობენ თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს (წყვილებში მუშაობა და ჯგუფური მუშაობა);

III მცრეკონტიგენტიანი სკოლის მოსწავლეთა მშობლები ნაკლებად ინტერესდებიან შვილების მონაწილეობით სასკოლო ბანაკებსა თუ საზაფხულო სკოლებში .

IV მცირეკონტიგენტიანი სკოლის მასწავლებლები სრულად ვერ ავლენენ იმ მეთოდების ცოდნას, რომლებიც თანამშრომლობითი სწავლის განვითარებას უწყობს ხელს საგაკვეთილო პროცესში;

V მასწავლებლები მოსწავლეთა სიმცირის გამო არ იყენებენ საგაკვეთილო პროცესში თანამედროვე ინტერაქტიულ მეთოდებს რომლებიც სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობით სწავლის განვითარებას;

VI მასწავლებლებს ღრმად და საფუძვლიანად არ აქვთ გააზრებული კლასკომპლექტში მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის როლი და უპირატესობანი სასწავლო პროცესში;

VII მასწავლებლები არ ეცნობიან კლასკომპლექტში თანამშრომლობითი სწავლის თემატიკაზე სხვადასხვა პროფესიულ ლიტერატურას თუ სტატიას;

VIII მცირეკონტიგენტიან სკოლაში ნაკლებად ხდება მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეებისათვის თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებისა და სტრატეგიების გაცნობა;

IX მასწავლებლები აქტიურად არ მონაწილეობენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა საქმიანობაში;

X მასწავლებლები ნაკლებად ურთიერთობენ სხვა სკოლის მასწავლებლებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით

XI მასწავლებლები ნაკლებად გეგმავენ პროექტებს არ იყენებენ პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლების კონცეფციებს თანამშრომლობითი უნარების განვითარების მიზნით .

6.2. რეკომენდაციები - ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავე შემდეგი რეკომენდაციები:

I მასწავლებლებმა სისტემატიურად უნდა იზრუნონ პროფესიულ განვითარებაზე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა საქმიანობაში(ტრენინგები ,სამუშაო შეხვედრები ,პროფესიული ლიტერატური გაცნობა და სხვა), ეს სკოლის ბაზაზე იქნება თუ სკოლის გარეთ;

II მასწავლებლებმა მიღებული ცოდნა მოარგონ სკოლის სტრუქტურას აქტიურად გამოიყენონ და დანერგონ თავიანთ პედაგოგიურ პრაქტიკაში. ეფექტურად გამოიყენონ გაკვეთილზე თანამედროვე სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობით სწავლას;

III მასწავლებლებმა უზრუნველყონ სწავლების პროცესში ისეთი გარემოს შექმნა, დაგეგმოს ისეთი აქტივობები რომელიც დაეხმარება sxvasasxva asakis მოსწავლეებს შორის პიროვნული და სოციალური უნარების გაუმჯობესებას, რაც აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის განვითარებას;

IV მცირეკონტიგენტიან სკოლებში ყურადღება მიექცეს ისეთი აქტივობების დაგეგმვას სადაც ყველა მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას ასაკის მიუხედავად თავისი შესაძლებლობების გათვალისწინებით

V მცირეკონტიგენტიანი სხვადასხვა სკოლების მასწავლებლებმა დაგეგმონ და ჩაატარონ ერთობლივი გაკვეთილები ერთ ასაკობრივ კლასში სადაც მოსწავლეს საშუალება მიეცემა თანატოლთან თანამშრომლობითი უნარის განვითარების თვითონ კი ერთმანეთს გაუზიარებენ ცოდნასა და გამოცდილებას

VI მასწავლებლებმა გაუწიონ რეკომედაცია მშობლებთან ისეთი პროექტებს რომლებსაც ანხორციელებს განათლების სამონისტრო(ბანაკები საზაფხულო სკოლები) სადაც ურთიერთობენ სხვადასხვა სკოლის ერთი ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეები და წარმატებით გამოიყენება თანამშრომლობითი სწავლის მეთოდები და სტრატეგიები;

•

თავი VII კვლევის შედეგების გაზიარება

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორხვის საბაზო სკოლაში პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესი საინტერესოდ და ეფექტურად წარიმართა, როგორც ჩემთვის, ასევე კვლევის პროცესში ჩართული ყველა მოსწავლისა და მასწავლებლებისათვის. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი კვლევის თითქმის ყველა ეტაპზე. მათ მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება მიიღეს კვლევის პროცესში მე კი ყოველთვის ყურადღებით ვიღებდი მათ უკუკავშირს ისეთი აქტივობები (მასწავლებლის სამუშაო შეხვედრები, პრეზენტაციები, გაკვეთილის ერთობლივი დაგეგმვა და მომზადება, მოსწავლეებთან ურთიერთობები თუ მასწავლებლის პირადი ინტერესი კვლევის მიმდინარეობის)იყო დაგეგმილი და განხორციელებული რომელიც აზრის გაცვლა-გამოცვლას მოითხოვდა ჩემთვის კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩნდა იმ პედაგოგებისათვის კვლევის შედეგების გაცნობა და გამოცდილების გაზიარება, რომლებიც თავიდან კვლევის პროცესში ჩართვისას ფიქრობდნენ რომ მათი აზრით არაფერი შეიცვლებოდა. მაგრამ ბოლოს მათაც გაუჩნდათ დიდი ინტერესი კვლევის ჩატარების პროცესების და მიმდინარეობის გაცნობისა. კვლევის შედეგების გაზიარებაში დიდი წვლილ შეიტანეს მეზობელი სკოლის შემთავსებელმა ინგლისური და რუსული ენის მასწავლებლებმა რომლებმაც ორ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან დაგეგმეს და ჩაატარეს გაკვეთილები ამით კი სურვილი გაუჩინეს სხა საგნის პედაგოგებს თვითონაც დაეგეგმათ და ჩაეტარებინათ მსგავსი გაკვეთილები რაც ხელს შეიწყობს როგორც მოსწავლეების ასევე მასწავლებელთა თანამშრომლობას.

კვლევის შედეგების გაცნობის მიზნით. შევკრიბე სასკოლო საზოგადოება (ყველა სკოლის მასწავლებელი სკოლის მოსწავლე და მშობელი). მათთვის საინტერესო აღმოჩნდა არა მარტო კვლევის პროცესი, არამედ საკვლევი საკითხიც. თითოეულმა დამსწრე წევრმა სრულიად გაათვითცნობიერა თავისი როლი მოსწავლეთა

სოციალური თანამშრომლობითი უნარის განვითარებაში და მიიღეს რეკომენდაციები.

მასწავლებლებისათვის კვლევის შედეგების გაცნობა და გაზიარება ძალზე მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესების გაუმჯობესებისათვის. თვითონ პედაგოგიური კვლევის ჩატარება კი ხელს შეუწყობს საკუთარ პროფესიულ ზრდას, ისინი შეძლებენ განახორციელონ ცვლილებები და ხელი შეუწყონ მოსწავლეთა სწავლების ხარიხს რაც გააუმჯობესებს მოსწავლის აკადემიურ შედეგებს. ამ მოტივით კვლევის ჩატარების სურვილი გაუჩნდათ სხვა მასწავლებლებსაც. ჩვენ შევთანხმდით ურთიერთთანამშრომლობაზე და დახმარებac შევთავაზე მთავარია, მასწავლებლებს უნდოდეთ ღირებული ცვლილებების განხორციელება თავიანთ პედაგოგიურ პრაქტიკაში და შესაძლებლობის ფარგლებში მზად ვარ თანამშრომლობისათვის

კვლევის ანგარიშის დადებითად შეფასების შემდეგ მზად ვარ ჩემი კვლევა გავაცნო და ჩემი შეხედულებები და მოსაზრებები გავუზიარო ყველას ვისაც ანალოგიური პრობლემა აქვს .

დასკვნა

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორხვის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურზე ჩავატარე პედაგოგიური კვლევა. კვლევის მთავარი საკვლევი კითხვა იყო : „როგორ უზრუნველვყოთ მცირეკონტიგენტიან სკოლაში საგაკვეთილო პროცესში სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარება“. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო, შემესწავლა საბაზო საფეხურის კლასებში საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარების განვითარების საკითხი, მომეპოვებინა და შემეგროვებინა ინფორმაცია, როგორ აქვთ განვითარებული მცირეკონტიგენტიანი

სკოლის მოსწავლეებს პიროვნული და სოციალური უნარები, რომელთა ფლობაც მნიშვნელოვნია 21-ე საუკუნის თანამედროვე მოსწავლისათვის და რაც განაპირობებს სწავლების პროცესში მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის ეფექტიანად და ეფექტურად გამოყენებას, მომეხდინა პრობლემის იდენტიფიცირება, დამედგინა პრობლემის მიზეზები, არსებული მდგომარეობის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დამესახა ამ პრობლემების გადაჭრის გზები..

ჩემს მიერ ,დაგეგმილმა და განხორციელებულმა ინტერვენციამ, კლასკომპლექტის შექმნამ სხადასხვა კლასებში ერთი საგნის მსგავსი თემის განხილვისას , საერთო პრობლემის წამოჭრამ და მასზე მუშაობამ გააუმჯობესა და ხელი შეუწყო გაკვეთილზე მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარებას და მათ სოციალიზაციას, რის შედეგადაც მოსწავლეები გახდნენ თანამგრძნობნი. გაუჩნდათ ერთმანეთთან ურთიერთობისა და დახმარების სურვილი, გახდნენ ერთმანეთის მიმართ უფრო გულისხმიერნი და ყურადღებიანი, პატივს სცემდნენ ერთმანეთის აზრს, ყოველივე ეს კი დადებითად აისახა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე

ვფიქრობ, რომ ჩემს მიერ განხორციელებულმა კვლევამ ხელი შეუწყო არა მარტო ჩემი არსებული ცოდნის და პრაქტიკის გაუმჯობესას არამედ მასში მონაწილე ყველა პედაგოგისას და საბოლოოდ, გაუმჯობესდა სკოლაში სასწავლო პროცესში სწავლა-სწავლების ხარისხი, რამაც დადებითად იმოქმედა მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებაზე და მათ აკადემიურ მოსწრებაზე.

- ## ბიბლიოგრაფია

. წიგნი ,,ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი 2013წ ავტორი მანანა მელიქიშვილი გვ 66-75)

- „ეფექტური სწავლება სკოლაში“, კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები, რომლებიც აუმჯობესებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინ ი. ფოლოქი გვ. 100-110; მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2009;
- ინასარიძე მ, ლობჟანიძე ს, რატიანი მ, სამსონია ი. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ ნაწილი II მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016;
- ინტერნეტგაზეთი www. Mastsavlebeli.ge “თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება”.12 ივნისი, 2013 ნეფარიძე თ. http://mastsavlebeli.ge/?p=2342
- „კლასის მართვა“ კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებლებისათვის, რობერტ ჯ. მარზანო, იანა ს. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი თავი 6. მოსწავლის პასუხისმგებლობა კლასის მართვაზე, (გვ 94);
- ლობჯანიძე ს. „როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“ ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“ 2012 წლის 3 მაისი; http://mastsavlebeli.ge/?p=281
- მასწავლებლის წიგნი , ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, ლობჟანიძე ს. ფიჩხაძე მ. რატიანი მ. ლომიძე ნ. ჭიაბრიშვილი ნ. თედორაძე რ. ჯალიაშვილი მ. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016; http://mastsavlebeli.ge/?p=12755

- სამოქმედო კვლევის სახელმძღვანელო, წიგნი I , წიგნი II, დავით ლიპარტელიანი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი. 2018 ;

- , ნინო რევიშვილი ,,სწავლა და სწავლება კლასკომპლექტში“(8 მაისი 2014წ)http://mastsavlebeli.ge/?p=1721
- სტატია „გუნდური მუშაობა“ 20 მაისი, 2013 დავით ბოლქვაძე 2013, http://mastsavlebeli.ge/?p=2362
- „სტატიები განათლების საკითხებზე“, 2010. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. ემოციური ფაქტორები: ცნობისმოყვარეობა და მიზანდასახულობა (გვ 142-143)
- ჯგუფური მუშაობის როლი სასწავლო ქმედებების ფორმირებაში

, 3 აპრილი, 2015 მაია ფირჩხაძე http://mastsavlebeli.ge/?p=1721

დანართები:

<u>დანართი N1</u>

გაცნობებთ, რომ კვლევა ტარდება სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორხვის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის პრობლემებთან დაკავშირებით. გაცნობებთ რომ თქვენი ანონიმურობა მაქსიმალურად იქნება დაცული. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის და კვლევაში მონაწილეობისათვის.

1. შეგიძლია შენი სკოლის მოსწავლეებთან ახლო ურთიერთობების დამყარება?

   ა) კი შემიძლია

   ბ) ზოგჯერ მიჭირს

   გ) არა

2. შეგიძლია მოუსმინო შენი სკოლის მოსწავლეს და პატივი სცე მის აზრს?

   ა) კი შემიძლია

   ბ) ზოგჯერ

   გ) არ შემიძლია

3. შეგიძლია აღიარო შენი სკოლის მოსწავლის ძლიერი მხარეები?

   ა) კი

   ბ) ყოველთვის არა

   გ) არა

4. შეგწევს უნარი დაეხმარო შენი სკოლის მოსწავლეს და იზრუნო მასზე?

   ა) კი

   ბ) ზოგჯერ მაქვს სურვილი

   გ) არა

5. შეგიძლია კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვა მშვიდობიანი გზით?

ა) შემიძლია

ბ) ვცდილობ

გ) არა

6. შეგიძლია საკუთარი ემოციების მართვა?

ა) კი

ბ) ზოგჯერ

გ) მიჭირს

7. გაქვს საკუთარი თავის რწმენა?

ა) კი

ბ) ზოგჯერ

გ) არ ვარ დარწმუნებული

8. ხართ თვითკრიტიკული?

ა) კი

ბ) ზოგჯერ

გ) არა

9. გაქვს სურვილი აქტიურად ჩაერთო სასწავლო პროცესში?

ა) კი

ბ) ზოგჯერ

გ) დამოკიდებულია მასწავლებელზე

დ) არასოდეს

10. იცი, რას ნიშნავს თანამშრომლობითი სწავლა?

ა) დიახ ბ) არა;

11. სწავლების რომელ ფორმას მიანიჭებ უპირატესობას

ა) ინდივიდუალურს

ბ) წყვილებში მუშაობას

გ) ჯგუფურს

12. სწავლების რომელი ფორმა გამოიყენება გაკვეთილების პროცესში უფრო ხშირად?

ა) დამოუკიდებელი მუშაობა

ბ) წყვილებში მუშაობა

გ) ჯგუფური მუშაო

13. შემოხაზეთ თანამშრომლობითი სწავლების რომელ მეთოდებს იცნობთ

-1) „ინტერვიუ 3 ნაბჯი

2)-ჯიგსოუს ტენიკა -

3)„სეგმენტური მეთოდი“ ?

3) აზროვნების 6 ქუდი

1 4. სპორტისა და ხელოვნების გაკვეთილებზე იყენებთ თუ არა თანამშრომლობითი სწავლების რომელიმე მეთოდს

1) კი
2) იშვიათად
3) არა

15, მეტ დროს ვისთან ერთად ატარებ?

1) მარტო მირჩევნია
2) უფროსებთან
3) თანატოლებთან

<u>დანართი N2</u>

თანამედროვე განათლების სისტემაში , როცა აქცენტი გაკეთებულია მოსწავლეზე და მოსწავლის შედეგებზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს შექმნაზე, მნიშვნელოვანია მასწავლებელის როლი მან ხელი უნდა ხელი შეუწყოს ისეთ უნარების განვითარებას, როგორიცაა მოსწავლის პიროვნული და სოციალური უნარები ამ უნარების გასანვითარებლად კი მნიშვნელოვანი არის, თანამშრომლობითი სწავლა.

კითხვა1 ***რამდენად არის ცნობილი თქვენთვის თანამშრომლობითი სწავლის არსი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას?***

სწავლის ეფექტურობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსწავლეთა მოტივაცია სასწავლო პროცესში

კითხვა2

რამდენად იცნობთ სწავლების იმ თანამედროვე მეთოდებს/სტრატეგიებს, რომელთა გამოყენებითაც სასწავლო პროცესი უფრო სახალისო იქნება მოსწავლეებისათვის და, ამავე დროს, მათ განუვითარდებათ თანამშრომლობითი უნარები?

მოგეხსენებათ პედაგოგისათვის პროფესიული განვითარება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. არსებობს პროფესიული განვითარების სხვადასხვა ფორმა: ტრენინგი, მასწავლებელთა თანამშრომლობა, გაკვეთილზე ურთიერთდასწრება, კვლევის ჩატარება, სასწავლო ჯგუფებში მონაწილეობა, გამოცდილების გაზიარებისა და ლიტერატურის გაცნობით, მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები და ა. შ,

კითხვა3

თანამშრომლობითი სწავლის თემატიკასთან დაკავშირებით? მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა, რომელიმე მათგანში, კონკრეტულად რომელში ?

კითხვა4

ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. გაკვეთილის მსვლელობის პროცესში იყენებენ თანამშრომლობითი სწავლების მეთოდებს, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინტერვიუ 3 ნაბიჯი, სეგმენტური მეთოდი, აზროვნების 6 ქუდი და ა. შ.

გამოგიყენებიათ თუ არა გაკვეთილის მსვლელობისას დასახელებული (ან სხვა) მეთოდები?

კითხვა 5.

პროფესიული განვითარების რომელ ფორმას ანიჭებთ უპირატესობას? ტრენინგს, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ჩატარებას, სკოლის გაზაზე პროფესიულ განვითარების ჯგუფებში გაერთიანებას, სამუშაო შეხვედრებს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, პროფესიული ლიტერატურის გაცნობას თუ სხვა?

<u>დანართი N3</u>

კითხვები მასწავლებლებთან ინტერვიუსათვის

მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის თემასთან დაკავშირებული სამოქმედო კვლევის პროცესში შეგროვებული ინფორმაციის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ: მასწავლებლების ცნობიერების დონე დაბალია ამ საკითხთან მიმართებაში. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციებმა მოახდენა თუ არა გავლენა პედაგოგებზე,

კითხვა 1

კერძოდ ამაღლდა მასწავლებელთა ცნობიერების დონე ამ მიმართულებით.?

კვლევამ დაადასტურა, რომ მასწავლებლები სრულად ვერ ავლენენ იმ მეთოდების და სტრატეგიების ცოდნას, რომლებიც მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის განვითარებას უწყობს ხელს საგაკვეთილო პროცესში;

კითხვა 2. ჩატარებული ინტერვეციის შედეგად გახდა თუ არა ცნობილი ის ინტერაქტიული მეთოდები და სტრატეგიები , რომელთა გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობდა მოსწავლეებს სოციალური უნარების განვითარებას,?

როცა სამოქმედო პედაგოგიური კვლევის ჩატარების პროცესები დავიწყე, ჩემი მიზანი იყო გამეუმჯობესებინა, ჩემი საკუთარი პრაქტიკა, უნდა განხორციელებულიყო ცვლილებები სასწავლო პროცესში, რომელიც წარმატებით შეცვლიდა პრობლემურ ვითარებას.

კითხვა 3. როგორ შეიცვალა თქვენი პედაგოგიური პრაქტიკა, რა ცვლილებები განხორციელდა თქვენს პრაქტიკაში? იმოქმედა თუა რა დაგეგმილმა ინტერვენციებმა არსებული პრობლემის მოგვარებაზე?

კითხვა 4. კვლევის შედეგად სასწავლო პროცესში განხორციელებულმა ცვლილებებმა იმოქმედა მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის პრობლემების მოგვარებაზე თუ აღმოჩნდა სხვა ფაქტორი/ფაქტორები, რომლებსაც შესაძლოა ემოქმედა წამოჭრილ პრობლემაზე?

დადებითი პასუხის შემთხვევაში დაასახელე აღმოჩენილი ფაქტორი.

<u>დანართი N 4</u>

კითხვარი შემუშავებულია კვლევის ჯგუფის მიერ კვლევის შედეგად განხორციელებული ინტერვენციის შეფასების მიზნით, წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის და კვლევის შეფასებაში მონაწილეობისათვის.

1. რამდენად შეუწყო ხელი სასწავლო პროცესში განხორციელებულმა აქტივობებმა თქვენი სოციალური უნარების განვითარებას ?
   1. კარგად
   2. ნაწილობრივ
   3. არა
   4. თავს ვიკავებ პასუხისაგან
2. შეავსეთ ცხრილი

გააკეთეთ ასეთი ნიშანი - **„ X“** , ყოველი სტრიქონის გასწვრივ			
	მეთოდი	**ვიცნობდი**	**ახალია**
1.	წყვილებში მუშაობა		
2.	ჯგუფური მუშაობა		
3.	სეგმენტური მეთოდი		
4.	ინტერვიუ 3 ნაბიჯი		
5.	ჯიგსოუს ტექნიკა		
6.	აზროვნების 6 ქუდი		

3. გაიაზრეთ, რას ნიშნავს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლა?

   ა) დიახ ბ) არა;
4. უნდა გამოიყენებოდეს თუ არა სასწავლო პროცესში მუდმივად მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი სწავლის მეთოდები?
   1. დიახ

2. არა
3. ზოგჯერ შესაძლებელია სხვა მეთოდების გამოყენებაც

5. სწავლების რომელ ფორმას მიანიჭებდით უპირატესობას გაკვეთილზე? .

1. ინდივიდუალურს
2. თანამშრომლობითს
3. მთელ კლასთან ერთად

6. კლასკომპლექტში სწავლებამ და თანამშრომლობითი სწავლის მეთოდების გამოყენებამ როგორ იმოქმედა თქვენს აკადემიურ შედეგებზე?

1. კარგად
2. საშუალოდ
3. არ შეცვლილა